

შპს „უჯ ლუბრიკანტს„ (ს/ნ 412719483)

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3.1 ფინანსური ინსტრუმენტები	6
3.2 ძირითადი საშუალებები	7
3.3 არამატერიალური აქტივები	8
3.4 მარაგები	8
3.5 შემოსავლები	8
3.6 ხარჯების აღიარება	8
3.7 დაბეგვრა	8
4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
6. პირობითი ვალდებულება	10
7. განმარტებითი შენიშვნები	10
8. რისკების მიმოხილვა	12

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ (ს.ნ. 412719483)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2023	2022	2021
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები		2 874 538	1 365 700	305 542
სხვა არამატერიალური აქტივები	1	3 369	156	0
გრძელვადიანი აქტივი სულ		2 877 907	1 365 856	305 542
მოკლევადიანი აქტივი				
მზა პროდუქცია	2	1 145 859	322 192	165 110
მიმდინარე მარაგი	2	6 021 149	6 440 405	1 967 852
გადახდილი ავანსი		533 904	920 178	400
პერსონალის მიმართ მოთხოვნა		550	0	0
სავაჭრო მოთხოვნა		3 457 606	2 476 920	407 427
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3	4 533 146	2 122 512	1 138 851
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	5 061
მოკლევადიანი აქტივი სულ		15 692 214	12 282 207	3 684 701
აქტივი სულ		18 570 121	13 648 063	3 990 243
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება ზარალი		4 446 108	2 206 791	-1 316 969
კაპიტალის სხვა კომპონენტები		117 743	117 743	117 743
კაპიტალი სულ		4 563 851	2 324 534	-1 199 226
მოკლევადიანი ვალდებულება				
საგადასახადო ვალდებულება		83 946	43 687	0
საპენსიო ვალდებულება		6 600	3 879	0
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		268 940	0	0
მიღებული ავანსი		4 881 176	4 091 793	0
პერსონალის მიმართ ვალდებულება		161 178	63 794	0
სავაჭრო ვალდებულება		8 604 430	7 120 376	5 189 469
მოკლევადიანი ვალდებულება სულ		14 006 270	11 323 529	5 189 469
კაპიტალი და ვალდებულება სულ		18 570 121	13 648 063	3 990 243
დირექტორი:				


შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ (ს.ნ. 412719483)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
<u>საერთო მოგება</u>			
ამონაგები	4	32 648 586	19 292 147
თვითღირებულება	4	-26 614 333	-14 957 030
საერთო მოგება/(ზარალი)		6 034 253	4 335 117
<u>საოპერაციო მოგება</u>			
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	5	-2 666 434	-736 052
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	-1 670 276	-910 048
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1 697 543	2 689 017
<u>არასაოპერაციო მოგება</u>			
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		208 274	807 039
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		341 580	56 519
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-8 080	-28 815
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2 239 317	3 523 760
<u>მიმდინარე წლის შედეგი</u>			
მიმდინარე წლის შედეგი		2 239 317	3 523 760
<u>სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>			
მთლიანი სრული შემოსავალი		2 239 317	3 523 760
მოცემული წლისთვის			

დირექტორი:



შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ (ს.ნ. 412719483)

ფულადი სახსრების მოძრაობა

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	32 404 842	19 735 761
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	-26 889 941	-16 244 200
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	-1 251 221	-412 310
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	-419 975	-237 366
საპენსიო ანარიცხის გადასახადი	-32 380	-6 754
მიღებული სესხი	265 645	0
საპროცენტო შემოსავალი	11 687	0
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სულ	4 088 657	2 835 131
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-1 678 932	-1 261 444
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან სულ	-1 678 932	-1 261 444
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები		
სავალუტო ცვლილების ეფექტი	909	-590 026
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	2 409 725	1 573 687
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საწყისი ნაშთი	2 122 512	1 138 851
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	4 533 146	2 122 512

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

- შპს „უჯ ლუბრიკანტს“-ი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 19 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 412719483.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა, N88, (თავისუფალი ინდუსტრიული ზონა)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების წარმოება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორებია:

1. ირაკლი კოხრიძე, 60003008418

კომპანიის დამფუძნებლებია:

1. ზურაბ გვარამე, 01025007211 – 100%

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. წარდგენის საფუძველი

- მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.
- საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.
- ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.
- ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.
- უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
- კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
2021	3.0976	3.5040

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022	2.7020	2.8844
2023	2.6894	2.9753

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

3.1 ფინანსური ინსტრუმენტი

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საღარიბოში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშებული არის ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი ასახული არის არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგენილიყო, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

აღნიშნულის მტკიცებულები არ არსებობს, შესაბამისად გაუფასურების ზარალი აღიარება მოგება/ზარალში არ მომხდარა.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

3.2 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

3.3 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით.

3.4 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

3.6 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯები წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევრი) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკურსო სხვაობის ზარალს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

3.7 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.
- კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

6. პირობითი ვალდებულება

კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულება/აქტივი.

7. განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივი
2023					
ძირითადი საშუალებები					
საწყისი ძირითადი საშუალებები	586 764	961 848	28 798	135 844	937
ძირითადი საშუალების შემოსვლა	648 404	833 262	68 260	125 206	3 799
ძირითადი საშუალების გასვლა	0	0	0	0	
საბოლოო ძირითადი საშუალებები	1 235 168	1 795 110	97 058	261 050	4 736
ძირითადი საშუალებების ცვეთა					
საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	337 386	8 162	2 008	781
ცვეთის დარიცხვა	0	133 505	7 422	25 366	586
დარიცხული ცვეთის შემცირება	0	0		0	0
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	470 891	15 584	27 374	1 367
2022					
ძირითადი საშუალებები					
საწყისი ძირითადი საშუალებები	0	558 123	17 820	1 410	937
ძირითადი საშუალების შემოსვლა	586 764	403 725	10 978	134 434	0
ძირითადი საშუალების გასვლა	0				0
საბოლოო ძირითადი საშუალებები	586 764	961 848	28 798	135 844	937
ძირითადი საშუალებების ცვეთა					
საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	265 539	5 762	801	647
ცვეთის დარიცხვა	0	71 847	2 400	1 207	134
დარიცხული ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	337 386	8 162	2 008	781

2. მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი	2023	2022
მზა პროდუქცია	1 145 859	322 193
მზა პროდუქცია ჯამი	1 145 859	322 193
ნედლეული და მასალები	3 461 670	5 192 887
ნახევარფაბრიკატები	493 940	561 139
ტარა/შეფუთვა	1 937 095	686 379
ეტიკეტი	103 576	0

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი

24 868

0

მიმდინარე მარაგი ჯამი

6 021 149

6 440 405

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	26 756	21 441
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	23 000	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4 483 390	2 101 071
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი	4 533 146	2 122 512

4. ამონაგები და თვითღირებულება

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდების მიხედვით მიღებული შემოსავლები და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (თიზ-ის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის რეალიზაცია)	28 790 761	19 292 147
შემოსავალი, მიღებული საქონლის გადაყიდვის შედეგად	3 857 825	0
ამონაგები ჯამი	32 648 586	19 292 147

თვითღირებულება	2023	2022
თვითღირებულება ჯამი	26 614 433	14 957 030

5. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	2023	2022
ტრანსპორტირება	(2 568 287)	(723 992)
რეკლამის ხარჯი	(60 103)	(12 060)
სხვა მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	(38 044)	-
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი ჯამი	(2 666 434)	(736 052)

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2023	2022
ხელფასი	(835 255)	(201 261)
ინტერნეტი	(11 878)	(4 054)
კომუნალური გადასახადი	(12 649)	(31 718)
ბანკის საკომისიო	(52 134)	(44 896)
საპენსიო ანარიცხი	(17 550)	(5 397)

შპს „უჯ ლუბრიკანტს“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ცვეთა	(49 429)	(75 588)
იჯარა	(95 718)	(58 307)
საკონსულტაციო მომსახურება	(111 904)	(10 426)
სხვა სამეურნეო ხარჯი	(483 759)	(478 578)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი	(1 670 276)	(910 048)

8. რისკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

• საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

კომპანიას აქვს ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აქვს საკურსო სხვაობების რისკი. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის, სესხებისა და კრედიტების გამო.


• საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

• ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად.

შპს უჯ ლუბრიკანტს-ის
დირექტორი



ი.კოხრეიძე